აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაძლიერების პროგრამა

კარტოფილის წარმოების განვითარების პერსპექტივები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

2014

შინაარსი

წინასიტყვაობა....2

დასკვნები და რეკომენდაციები....4

მეთოდოლოგია....8

კარტოფილის წარმოების მიმოხილვა აჭარაში....9

ჯიშთა განახლება და გამოცდა....11

მცენარეთა დაცვის თანამედროვე მიდგომები....14

კარტოფილის მიწოდების ჯაჭვის დეტალური ანალიზი....16

მოსავლის აღების შემდგომი დამუშავება და შენახვა....19

ადგილობრივი ბაზრის ანალიზი....20

ადგილობრივ ბაზარზე არსებული ასორტიმენტის ანალიზი....22

სადისტრიბუციო ბაზრის ანალიზი....24

კონკურენტული ანალიზი....25

წარმოების გეოგრაფია და საბითუმო ფასების ანალიზი....25

კონკურენტი მწარმოებლების (რეგიონების) კონკურენტული უპირატესობების კვლევა....28

ძლიერი მხარეები....32

სუსტი მხარეები:....33

საფრთხეები:....35

შესაძლებლობები:....35

გამოყენებული ლიტერატურა....36

წინასიტყვაობა

კარტოფილი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მთელს საქართველოში წარმოადგენს საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კულტურას, რომლის წარმოების მასშტაბებსა და ფასზეც დამოკიდებულია სასურსათო უსაფრთხოების და ინფლაციის ძირითადი მაჩვენებლები. ამ თვალსაზრისით კარტოფილს უკავია წამყვანი ადგილი სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის და მისი წარმოების ჯაჭვის სწორად ფუნქციონირება უზრუნველყოფს მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის შემოსავალს და აჭარისა და საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობის საკვებით დაკმაყოფილებას.

სწორედ ამ მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადაწყვიტა კარტოფილის წარმოების ჯაჭვის დეტალური ანალიზი, რის შედეგადაც დაიგეგმება საბიუჯეტო პროგრამები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც დარგის მაქსიმალურად გაძლიერებას და შეუწყობს ხელს. აჭარის მთავრობას სურს სექტორების ხელისშემწყობი ღონისძიებების მაქსიმალურად ობიექტური დაგეგმვა, რაც თავის მხრივ მოითხოვს ამგვარი კვლევების ჩატარებას, მომავალი აქტივობების უკეთესად განხორციელების მიზნით.

დასკვნები და რეკომენდაციები

კარტოფილის წარმოებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასურსათო უსაფრთხოების და წვრილი გლეხური მეურნეობების შემოსავლის უზრუნველყოფის მიმართულებით. მხოლოდ ხულოს რაიონის მაგალითზე შეიძლება ითქვას რომ 1272 ჰა ფართობზე ფუნქციონირებს 7000 მდე წვრილი მეურნეობა რომელთა საშუალო ფართობი არ აღემატება 0.2-0.4 ჰა. ადვილი წარმოსადგენია თუ რა დატვირთვა აქვს კარტოფილის კულტურას აღნიშნული მეურნეობებისთვის იმის გათვალისწინებით რომ კლიმატური პირობებიც სხვა ალტერნატიული კულტურების წარმოების საშუალებას არ იძლევა. აქედან გამომდინარე კარტოფილის წარმოებას სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც დაბალმოსავლიან წლებში ეკონომიკურის გარდა სოციალური პრობლემების მიზეზიც შეიძლება გახდეს. ერთის მხრივ სახელმწიფო, აჭარის მთავრობა დაინტერესებულია დარგის განვითარებით და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების უზრუნველყოფით, მაგრამ მეურნეოების ფრაგმენტაცია მისი კომერციული განვითარების დიდ პერსპექტივებს არ იძლევა.

წარმოების ფრაგმენტაციასთან ერთად საყურადღებოა ტექნოლოგიები და ჯიშების ამორტიზაცია (მოძველება), რაც პირდაპირ აისახება მოსავალიანობაზე და გლეხური მეურნეობების შემოსავალზე. დღეს არსებული ჰექტრული მოსავლიანობის და წარმოების ტექნოლოგიების გათვალისწინებით ადგილობრივ მოსახლეობას არათუ იმპორტულ არამედ ქვეყნის შიგნით არსებული ფერმერულ მეურნეობებთან კონკურენციაც გაუჭირდებათ. ტექნოლოგიების განხილვის დროს აუცილებელია ადგილობრივი ლანდშაპტის გათვალისწინება, რაც ზღუდავს მექანიზაციის გამოყენებას და მოსახლეობა მხოლოდ ხელის ტრაქტორების გამოყენებით შემოიფარგლება. ამის ნათელი მაგალითია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის მიზნობრივი პროგრამა, რომლის დახმარებითაც მოსახლეობას მიწოდება ხელის ტრაქტორები და მისაბმელი ტექნიკა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სათესლე მასალის ხარისხი და უვირუსობა რაც მაღალი მოსავლის ერთერთი მთავარი საწინდარია. არსებული მონაცემებით აჭარაში ითესება 2,000 ჰა, რასაც საშუალოდ ესაჭიროება 5,600 ტონა

კარტოფილის სათესლე მასალა. დღეის მდგომარეობით ეს მასალა შემოდის სხვადასხვა ქვეყნებიდან ძირითადად სასომხეთიდან, თურქეთიდან და ნიდერლანდებიდან. ხარისხთან და ვირუსებთან მიმართებაში მხოლოდ ნიდერლანდებიდან შემოსული კარტოფილი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. 2013 - 2014 წლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო სამსახურის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად გამოვლინდა კარტოფილის ჩრჩილის, კარტოფილის მურა სიდამპლე (ვილტი) და კარტოფილის კიბოს ბევრი შემთხვევა, რის გამოც პროდუქცია გააბრუნეს ექსპორტიორ ქვეყანაში. გარკვეულწილად ამის შედეგიც არის 2013-14 წლებში დაფიქსირებული მაღალი ფასი სასურსათო კარტოფილზე, რაც სათესლე კარტოფილის დეფიციტითაც შეიძლება აიხსნას. საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი სათესლე მეურნეობა, რომელიც ხარისხიანი და უვირუსო სათესლე მასალის (ა კლასი) წარმოებითაა დაკავებული. ეს არის სათესლე და სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი, რომელიც ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ სამეცნიერო კვლევით ცენტრს გადაეცა. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ცენტრის არსებული სიმძლავრე მხოლოდ რამოდენიმე ათასი ტონა სათესლე მასალის წარმოებას ითვალისწინებს, რაც არ არის საკმარისი ქვეყანაში საჭირო დაახლოებით 50,000 ტონა ხარისხიანი და უვირუსო სათესლე მასალის მისაღებად.

რაც შეეხება ჯიშებს აჭარაში ფაქტიურად საქართველოში არსებული ყველა ჯიში არის გამოცდილი და დარაიონებული. აჭარის რეალობაში საშუალო და საშუალო საგვიანო ჯიშებმა ყველაზე კარგად დაიმკვიდრეს ადგილი. საქართველოში ძირითადად ორი იმპორტიორი კომპანია მოქმედებს აგრიკო და ევროპლანტი. მათ მიერ მოწოდებული ჯიშები გამოირჩევა მაღალი რეზისტენტულობით სხვადასხვა დაავადებების მიმართ და მოსავლიანობით. ორივე მომწოდებელი პასუხისმგებელია თესლის ხარისხზე და უვიროსობაზე, რაც დასტურდება შესაბამისი სერთიფიკატებით.

მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს კულტურების როტაცია, რაც საკმაოდ გართულებულია შეზღუდული მიწის რესურსების პირობებში. განსაკუთრებით მაღალმთიან აჭარაში არსებულ მეურნეობებს არა აქვთ კულტურების როტაციის ტრადიცია გამომდინარე იქიდან რომ მცირე მიწიანები არიან. ამას ემატება მკაცრი

კლიმატური პირობები, რაც თავისთავად ზღუდავს წარმოებული ერთწლიანი კულტურების ასორტიმენტს.

გასათვალისწინებელია შესანახი ინფრასტრუქტურის არ არსებობა, რაც მოსავლის აღების შემდგემ დანაკარგებს ზრდის. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მაღალმთიან აჭარაში სადაც მკაცრი კლიმატური პირობების (თოვლის და ყინვის) გამო მცირდება მზა პროდუქციის შენახვისუნარიანობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის პირობებში. სტანდარტულად აღნიშნულმა დანაკარგებმა შეიძლება მთლიანი მოსავლის 40% გადააჭარბოს (სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე). გამონაკლისს არც აჭარა წარმოადგენს, სადაც ყინვებით, ჩახურებითა და სხვა მიზეზებით მოსავლის გარკვეული ნაწილი ნადგურდება.

ინფრასტრუქტურასთან პირდაპირ კავშირშია კარტოფილის ორგანიზებული მიწოდება და ვაჭრობა. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე წვრილი ფერმერული მეურნეობის მიერ წარმოებული მოსავალის რეალიზაცია დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. საშუალო და მსხვილი საცალო საბითუმო სავაჭრო წერტილები ერიდებიან მსგავს მომწოდებლებთან პირდაპირ კავშირს. მიწოდება ხორციელდება შუამავალი რგოლების მეშვეობით, რაც ფასებით სპეკულაციის ალბათობას ზრდის. სწორედ ამ მოვლენას შეიძლება გარკვეულწილად დავუკავშიროთ ხელოვნური დეფიციტის და ჭარბი მიწოდების შექმინის პრეცენდენტებიც რა დროსაც მწარმოებელი ფერმერი და საბოლოო მომხმარებელი ზარალდება.

ფრაგმენტაციის საკითხის მოგვარების ერთადერთი გზა არის ფერმერთა გაერთიანებების ხელშეწყობა და მათთვის წამახალისებელი მიზნობრივი პროგრამების შეთავაზება. ამასთან ერთად აუცილებელია იმ სიკეთეების დემონსტრირება რაც გაერთიანების შემთვევაში მათთვის ხელმისაწვდომი ხდება. პირველ რიგში ეს ეხება მასალების შესყიდვასთან დაკავშირებულ ფასდაკლებებს, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას და მზა პროდუქციის შემსყიდველების მხრიდან გამოხატულ ინტერესს დიდი მოცულობების მომწოდებლებთან.

რაც შეეხება ტექნოლოგიებისა და ჯიშების მოძველებას აქ აუცილებელია სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების გამოყენება მოსახლეობის პირველი რეპროდუქციის თესლით უზრუნველყოფის მიზნით. ამ ეტაპზე რეკომენდირებულია

მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შეღავათიანი პირობებით მოხდეს უვირუსო სათესლე მასალით დაკმაყოფილება ან შესაბამისი სათესლე მეურნეობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა რომელთა მეშვეობითაც განხორციელდება ა კლასის სათესლე მასალის წარმოება (ელიტური სათესლე მასალიდან) და შემდგომში ხარისხიანი კარტოფილის წარმოების მიზნით მიღებული სათესლე მასალის მოსახლეობისთვის შეღავათიან ფასში რეალიზაცია, რითაც მოხდება როგორ კარტოფილის მოსავლიანობის ზრდა ასევე დაავადებული სათესლე მასალის ბრუნვიდან აღმოფხვრა და დაავადებების შესაძლო გავრცელების პრევენცია. აჭარას ამ ეტაპზე ესაჭიროება 5000 ტონამდე ა კლასის სათესლე მასალა, რომლის წარმოებისთვის საჭიროა 200 ჰა-მდე სათესლე მეურნეობა. ამ მეურნეობის ელიტური სათესლე მასალით უზრუნველყოფის მიზნით იმპორტირებული უნდა იყოს საშუალოდ 600 ტონამდე ელიტურ თესლი, რომლის საბაზრო ღირებულება 600,000-650,000 ევროს შეადგენს. აჭარის მთავრობის გადასაწყვეტია დახმარების კონკრეტული გზა, კერძოდ ა კლასის თესლის პირდაპირი იმპორტი თუ ელიტური თესლის იმპორტი და ადგილზე ა კლასის წარმოება გამოცდილი ფერმერული მეურნეობების ბაზაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია ადგილზე სათესლე მეურნეობების განვითარება და მინიმუმ ა კლასის სათესლე მასალის ადგილზე წარმოება.

ზოგადად უხარისხო და დაავადებული სათესლე მასალის რეალიზაციის კონტროლი აუცილებელია როგორც ადგილზე ასევე იმპორტირების დროს. საბაჟო უწყების საკარანტინო სამსახური დღეის მონაცემებით ამ ფუნქციას წარმატებულად ანხორციელებს. რაც შეეხება ადგილზე პროდუქციის რეალიზაციას აუცილებელია სათესლე მასალის წარმოების და რეალიზაციის კონტროლის გამკაცრება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

კულტურების როტაციასთან და ნიადაგების დასვენებასთან მიმართებაში აუცილებელია შესაბამისი კვლევების წარმოება კარტოფილის საპირწონო კულტურების იდენტიფიცირების მიზნით. მაღალმთიან აჭარაში არსებული კლიმატის და მცირე ნიადაგების პირობებში ამ ალტერნატივების მოძიება საკმაოდ რთულია. ამ მიზნით აუცილებელია კლვევითი ინსტიტუტების ჩართვა პროცესში განსაკუთრებით მცენარეთა დაცვის და ფიტოსანიტარული კონტროლის განხრით.

სწორედ მათი დახმარებით შეიძლება მცენარეთა დაცვის სისტემური მეთოდების შემუშავება.

მეორე პოტენციური მიზნობრივი პროგრამა შეიძლება გახდეს კატოფილის შესანახი ინფრასტრუქტურის განვითარება. ფერმერული მეურნეობების ფრაგმენტაციის პირობებში შესანახი ინფრასტრუქტურა შეიძლება შეიქმნას ორ შემთხვევაში. პირველ შემთვევაში მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში ინფრასტრუქტურის განვითარება მოხდება ფერმერული გაერთიანებების ბაზაზე (კოოპერატივებისთვის), ხოლო მეორე გზა არის კონსოლიდატორის ან გადამამუშავებლის (კომპანიის) მიერ აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც თავის მხრივ დამატებით ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს და დამატებითი ღირებულების შექმნის საშუალებადაც შეიძლება იქცეს. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამჟამად 40000 ტონამდე სასურსათო კარტოფილი იწარმოება და ამ პროდუქციის გრძელვადიანი შენახვის მიზნით აუცილებელია შესაბამისი შესანახი ინფრასტრუქტურის არსებობა რაც მინიმუმ 30%-იანი დანაკარგის (12000 ტონის) თავიდან აცილების საშუალებას მისცემს ფერმერებს. ლაპარაკია მინიმუმ 7 მილიონი (1 ტონა კარტოფილის ფასი 600 ლარი) და მაქსიმუმ 12 მილიონი (1 ტონა კარტოფილის ფასი 1000 ლარი) დამატებით შემოსავალზე რასაც მოსახლეობა კარგავს ყოველწლიურად შესაბამისი ინფრასტრუქტურის არქონის გამო.

მეთოდოლოგია

კვლევა, რომელიც PMCG-ის დახმარებით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ა(ა)იპ აგროსერვის-ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარდა, მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- **ადგილობრივი წარმოების შესწავლა** - გულისხმობსაჭარაში კარტოფილის წარმოების ტექნიკურ დეტალების ანალიზს, მათ შორის მთელი წარმოების ჯაჭვის ანალიზს დაწყებული მასალების მიწოდებით და დამთავრებული ხარისხიანი პროდუქციის რეალიზაციით.კარტოფილის მწარმოებელთა დიდი რაოდენობის გამო, წარმოების ჯაჭვის ანალიზი განხორციელდა შედარებით მსხვილი მწარმოებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ მეტი გამოცდილება და ამავე დროს ზრდის პოტენციალი.

- **ადგილობრივი ბაზრის შესწავლა** - გულისხმობს ადგილობრივი ბაზრის მოცულობის - მოხმარების, წარმოებისა და იმპორტის ანალიზს, ასევე ასორტიმენტის ანალიზსა და სადისტრიბუციო არხების კვლევას.
- **კონკურენტული ანალიზი -** გულისხმობს წარმოების გეოგრაფიისა და საბითუმო ფასების ანალიზი და ასევე კონკურენტი მწარმოებლების (რეგიონების) კონკურენტული უპირატესობების კვლევას.
- **ფინანსური ანალიზი** - გულისხმობს აჭარაში წარმოებული კარტოფილის თვითღირებულების დადგენას, წარმოების ყველა პროცესის ღირებულების დადგენის გზით.
- **დასკვნები და რეკომენდაციები** - გაკეთდა მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე

კარტოფილის წარმოების მიმოხილვა აჭარაში

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან, რომელიც შეადგენს 72 862 ჰა–ს,სახნავს უჭირავს 10 168 ჰა,ანუ 12.68 %. მათ შორის (2013წ)კარტოფილის კულტურით დაკავებულია 2 021 ჰა,ანუ მთლიანი სახნავის 20 %.

ხულოსმუნიციპალიტეტი	1272 ჰა
შუახევისმუნიციპალიტეტი	362 ჰა
ქედისმუნიციპალიტეტი	107 ჰა
ხელვაჩაურისმუნიციპალიტეტი	82 ჰა
ქობულეთისმუნიციპალიტეტი	173 ჰა
ქ.ბათუმის შემოერთებული ტერიტორიული ერთეულები	25 ჰა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სულ 21540 კარტოფილის მეურნეობაა. აღნიშნული რაოდენობიდან 99% არის 0,06-0,5 ჰა სასოფლო სამეურნეო სავარგულის მქონე მეურნეობა (შინა მეურნეობა/წვრილი გლეხური მეურნეობა).მეურნეობები შემდეგნაირადაა გადანაწილებული მუნიციპალიტეტების მიხედვით:

ხულოსმუნიციპალიტეტი	7008 მეურნეობა
შუახევისმუნიციპალიტეტი	4402 მეურნეობა
ქედისმუნიციპალიტეტი	2674 მეურნეობა
ხელვაჩაურისმუნიციპალიტეტი	3027 მეურნეობა
ქობულეთისმუნიციპალიტეტი	4429 მეურნეობა

რეგიონში არსებული მონაცემების მიხედვით კარტოფილის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა 170-190 ცენტნერია, რაცმის შესაძლებლობებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია და განპირობებულია კარტოფილის ჯიშური ნიშან-თვისებების დაკნინებით. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, აჭარის რეგიონში 11.7 ათასი ტონა კარტოფილი იქნა წარმოებული. ხოლო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის ოპერატიული მონაცემებით, რეგიონში სულ წარმოებული იქნა 46 925 ტონა კარტოფილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით რეგიონში კარტოფილის წარმოება მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

ხულოს მუნიციპალიტეტი	31200 ტ
შუახევის მუნიციპალიტეტი	10355ტ
ქედის მუნიციპალიტეტი	2730ტ
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1300 ტ
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1150ტ
ქ.ბათუმის შემოერთებული	190 ტ

აჭარის მუნიციპალიტეტებს შორის ხულოს მუნიციპალიტეტი კარტოფილის ერთ–ერთი მთავარი მწარმოებელია. კარტოფილის კულტურახულოს მცხოვრებ ფერმერთა შემოსავლის მთავარი წყაროა, თუმცა ფერმერები ხშირად აღნიშნავენ, რომ ხულოს კარტოფილი ბაზარზე კონკურენციას თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ კარტოფილს ვეღარ უწევს. ფერმერების თქმით, ხულოში კარტოფილის მოვლა–მოყვანაზე გაწეული დანახარჯები საკმაოდ მაღალია, ხოლო იმპორტირებული პროდუქციის ფასი გაცილებით დაბალი. ფერმერები აღნიშნავენ, რომ კარტოფილიდან მიღებული შემოსავალი ხშირ შემთხვევაში მის მოსაყვანად და ტრანსპორტირებისთვის გაწეულ ხარჯსაც ვერ ანაზღაურებს, რის გამოც ყოველწლიურად მცირდება კარტოფილის ნათესი სავარგულები.

აღსანიშნავია, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია ,,მეკარტოფილე ფერმერთა ასოციაცია“. ასოცოაციაში გაერთიანებული ფერმერების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საშუალო ფართობი 0,3–1 ჰა.

ჯიშთა განახლება და გამოცდა

ბოლო წლებში, რეგიონში მკვეთრად შეინიშნება კარტოფილის კულტურის მოსავლიანობის კლება, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობა ადგილზე ვერ აწარმოებს წმინდა ჯიშური ნიშან-თვისების მქონე სათესლე მასალას, არ ფუნქციონირებს თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის ინსპექციები, ხოლო შემოტანილი უცხოური სარგავი მასალის შეძენა მისი მაღალი ღირებულების გამო, მეკარტოფილეთა უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი არ არის.

წარსულში კარტოფილის ე.წ. ელიტური თესლი რუსეთიდან ან ბელორუსიდან შემოჰქონდათ. დღეისათვის აღნიშნული თესლი ჰოლანდიიდან ან გერმანიიდან შემოაქვთ, ხოლო სამხრეთ საქართველო მთლიანად დამოკიდებულია სომხეთში წარმოებულ საკმაოდ დაბალხარისხიან თესლზე. მეკარტოფილეობის მაღალმთიან

ზონებში ძირითადად გავრცელებულია შემდეგი ჯიშები: აგრია, კოსმოსი, ფელისიტა, მარფონა და პიკასო. საადრეო ჯიშებიდან, რომლებიც ძირითადად გავრცელებულია მარნეულსა და ბოლნისში აღსანიშნავია დესირე და იმპალა. აჭარის რეგერიონის ტერიტორიაზე გავრცელებულია კარტოფილის რუსული ჯიშები, ადგილობრივების დასახელებით ,,ქალაქური'' და ,,მელანო'' აგრეთვე აპრობირებული ჯიშებია მარფონა, მარაბელი, ჯელი, პიკასო, არინდა, მადელაინი, პროვენტო. კარტოფილის ესა თუ ის ახალი ჯიში 4-5 წლიანი ექსპლუატაციის შემდეგ თანდათანობით კარგავს ჯიშისათვის დამახასიათებელ ნიშან–თვისებებს, რისთვისაც საჭიროა მისი სისტემატიური ჯიშთგანახლება.

რეგიონში ყოველწლიურად ხდება გერმენიიდან და ჰოლანდიიდან სათესლე მასალის შემოტანა, რომელთა ღირებულება საშუალოდ 2,50–2,70 ლარია. მაღალი ღირებულების გამო ფერმერებს უხდებათ 9–10 წლის განმვალობაში ერთი და იგივე სათესლე მასალის ბრუნვა, რის ფონზეც მოსავლიობა და ტუბერის სამრეწველო ხარისხი საკმაოდ ეცემა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისევე როგორც ზოგადად საქართველოში, კარტოფილის სათესლე მასალის მოწოდება ხორციელდება ძირითადად სამი კომპანიის საშუალებით. ესენია:

- აგრიკო(http://www.agrico.nl)- არნოვა, პიკასო, მარფონა, ზაფირა
- ევროპლანტი (http://www.europlant.biz) - ჯელი
- სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (http://agrocartu.com.ge) - ჯავახეთური და თრიალეთური

კარტოფილის ჯიშები სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით დაჯგუფებულია შემდგენაერად: საადრეო, საშუალო და საგვიანო ჯიშებად. საადრეოსათვის დამახასიათებელია 70-90 დღე, საშუალოსათვის 120-130, საგვიანოსათის კი სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 180-მდე გრძელდება. ცნობილია თესლების სამი ძირითადი კლასი: სუპერსუპერელიტა, სუპერელიტა, ელიტა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას სათესლე კარტოფილის მომდევნო წარმოებისათვის.

ნევსკი - რუსული წარმოშობის საადრეო ჯიშია, რომელიც ხასიათდება კარგი გემოვნური თვისებებით, საშუალო მოსავლიანობით. ტუბერი თეთრია. თვლები ზედაპირული.

მარფონა – საშუალო ვეგეტაციის ჯიშია, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით. ტუბერი მომრგვალო ოვალური, მსხვილი, ყვითელი გარეკანით, რბილობი შეფერი-ლია ღია ყვითლად, თვალები განლაგებულია ზედაპირულად. მდგრადია კარტოფილის Y ვირუსის მიმართ, ახასიათებს ქეცის, ფიტოფტოროზისა და ფოთლების დახვევისადმი ნაწილობრივი რეზისტენტულობა.

პიკასო– ჰოლანდიური წარმოშობის ჯიშია (მწარმოებელი კომპანია "აგრიკო"), საშუალო საგვიანო ვეგეტაციის. ტუბერი ოვალური, დიდი ზომის, გარეკანი ყვითელი, წითელი თვალებით, რბილობი მკრთალ მოყვითალოდ შეფერილი. რეზისტენტულია კარტოფილის Y ვირუსის, ქეცისა და ნემატოდის მიმართ. ახასიათებს ფოთლების დახვევისა და ფიტიფტოროზის მიმართ ნაწილობრივი გამძლეობა

სანტე – ჰოლანდიური წარმოშობის ჯიშია (მწარმოებელი კომპანია "აგრიკო"), საშუალო საადრეო ვეგეტაციის. ტუბერი ოვალური, საშუალო ზომის, გარეკანი ყვითელი, რბილობი მკრთალ მოყვითალოდ შეფე-რილი. რეზისტენტულია კარტოფილის Y ვირუსის, ფოთლების დახვევის, ფიტოფტორისა და ნემატოდის მიმართ. ახასიათებს ქეცის მიმართ ნაწილობრივი გამძლეობა.

არნოვა - საშუალო ვეგეტაციის ჯიშია, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით. ტუბერი მომრგვალო ოვალური, მსხვილი, ყვითელი გარეკანით, რბილობი შეფერი-ლია ღია ყვითლად, თვალები განლაგებულია ზედაპირულად. მდგრადია კარტოფილის Y ვირუსის მიმართ, ახასიათებს ქეცის, ფიტოფტოროზისა და ფოთლების დახვევისადმი ნაწილობრივი რეზისტენტულობა.

ზაფირა - ჰოლანდიური წარმოშობის ჯიშია (მწარმოებელი კომპანია "აგრიკო"), საშუალო საადრეო ვეგეტაციის. ტუბერი ოვალური, საშუალო ზომის, გარეკანი ყვითელი, რბილობი მკრთალ მოყვითალოდ შეფე-რილი. რეზისტენტულია კარტოფილის Y ვირუსის, ფოთლების დახვევის, ფიტოფტორისა და ნემატოდის მიმართ. ახასიათებს ქეცის მიმართ ნაწილობრივი გამძლეობა.

ჯელი - საშუალო საგვიანო ვეგეტაციის. ტუბერი ოვალური, დიდი ზომის, გარეკანი ყვითელი, რბილობი მკრთალ მოყვითალოდ შეფერილი. რეზისტენტულია კარტოფილის Y ვირუსის, ქეცისა და ნემატოდის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ 2009 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ,ერთწლიანი კულტურების ჯიშთგანახლებისთვის ფერმერთა ხელშეწყობისთვის" ფარგლებში განხორციელდა კარტოფილის (მარფონა, პიკასო, არინდა, აგრია, ამოროზა საადრეო, როზარა, სოლარა და სხვა) თესლის შესყიდვა და მიწოდება რეგიონის მეკარტოფილე ფერმერებზე, პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 300 000 ლარს. შესყიდული კარტოფილის სარგავი მასალა ფერმერებზე გაიცა თანაგადახდის პრინციპით 50%-ის გადახდის საფუძველზე.

მცენარეთა დაცვის თანამედროვე მიდგომები

აჭარაში კარტოფილის მცენარეს სოკოვანი დაავადებებიდან ძირითადად აზიანებს კარტოფილის ფიტოფტორა, ფხვიერიქეცი, მშრალისიდამპლე, ალტერნარიოზი, კარტოფილის ფოთლების ყვითელი ანუ მკრთალი ლაქიანობა და რიზოქტონიოზი. კარტოფილის ფიტოფტორა ამ მცენარის ყველა სხვა დაავადებასთან შედარებით პირველ ადგილზეა თავისი მასშტაბურობით. გავრცელების დონით შემთხვევებში მას შესაძლოა შეედაროს მხოლოდ კარტოფილის ვირუსული დაავადებანი. ფიტოფტორათი ავადდება კარტოფილის ყველა ორგანო, (ფოთლები, ღერო, ტუბერები) გარდა ყვავილისა. დაავადების სიმპტომები – დაავადება წვრილი მოყავისფრო ლაქების სახით ჯერ ფოთლებზე ვითარდება, ლაქები დასაწყისში გაფანტულია. თუ მშრალი ამინდებია, ლაქები ნელა იზრდება, თუ ნესტიანი – სწრაფად. ისინი დიდდებიან და ხშირად მთელ ფოთოლს ან ფოთოლაკს იკავებენ. დაავადების ძლიერი გავრცელების დროს მცენარე მთლიანად იფარება ასეთი ლაქებით და შავდება. ღეროების დაავადებაც ფოთლების დაავადების ანალოგიურად მიმდინარეობს ჯერ სხვა და სხვა ზომის ლაქები ჩნდება, მათი გამრავლების შედეგად ღერო ან მისი ცალკე ტოტი ხმება. განსაკუთრებით, როდესაც ლაქა შემორკალულია ღეროებზე, ასეთ შემთხვევებში ღეროები მთლიანად შავდება, მეტადრე წვიმიან და ნესტიან პირობებში, რაც საკმაოდ ხშირ მოვლენას წარმოადგენს მაღალმთიანი აჭარის

რეგიონში. ტუბერების დაავადებაც საკმაოდ ხშირია. ისინი ავადდებიან ნიადაგში ჩაჟონილ წყალს ჩაყოლილი ზოოსპორებითან ტუბერზე ფოთლებიდან მოხვედრილი საინფექციო საწყისით. შედეგად დაავადება იჭრება ტუბერის ქერქში და იწვევს მის ლპობას. ახლად დაავადებულ ტუბერზე ლაქები ვითარდება. ქერქის ქვედა ქსოვილითან და თან მურა ფერსიღებს, უსიამოვნო სუნი აქვს და ალპობს ტუბერებს, განსაკუთრებით საწყობებში. ბრძოლის ღონისძიებები: კარტოფილის მოსავლის აღებამდე 4-5 დღით ადრე მცენარის მიწისზედა ნაწილების მოცილება ნაკვეთიდან.

დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით რეგიონში მოქმედი მეკარტოფილე ფერმერები ნათესებს ამუშავებენ შემდეგი პრეპარატებით:

- შავიტი 0,2 % (0,6 კგ/ჰა-ზე)
- ანტრაკოლი 1,5-2,5 კგ/ჰა
- რაპიდ გოლდი 1,5 კგ/ ჰა
- კადილაკი 1,2-1,6 კგ/ჰა
- მერპანი 2-2,5 კგ/ჰა.

სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმა 300-400 ლ/ჰა-ზე.

სავეგეტაციო პერიოდში მარცვლოვანი სარეველების წინააღმდეგ ფერმერები იყენებენ:

- ზელეკსუპერი 0,5-1,0 ლ/ჰა
- ანფიხზილად ფორტე 1,5 ლ/ჰა
- სარგავი მასალა მუშავდება ფუნგიდიცებით: დითანმ45 (მანკოცები) 2-3 კგ/ტანპრესტიჟი 1 ლ/ტ.

მავნებლების წინააღმდეგ იყენებენ შემდეგ ინსექტიციდებს:

- ფასტაკი 0,2 ლ/ჰა
- ნურელდ 1,5 ლ/ჰა
- კარატეზეონი 0,4 ლ/ჰა
- კონფიდორი 0,05 ლ/ჰა

- ანაქტარა 0.06 კგ/ჰა;

სასუქები: ადგილობრივი ფერმერები კარტოფილის მოვლა–მოყვანის პროცესში ძირითადად იყენებენ შემდეგ არაორგანულ სასუქებს: $N_{15}P_{15}K_{15}$, $N_4P_{20}K_{20}$, NH_4NO_3 – ამონიუმის გვარჯილა, P_2O_5+ N - ამონიზირებული სუპერფოსფატი, KCL –60%იანი კალიუმის ქლორიდი.

კარტოფილის მიწოდების ჯაჭვის დეტალური ანალიზი

ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა - ესენი არიან: 1) მასალების მომწოდებლები; 2) მწარმოებლები; 3) შუამავლები და 4) გასაღების ბაზარი.

მასალების მომწოდებლები- კომპანიები რომელთაც შემოაქვთ კარტოფილის წარმოებისთვის საჭირო მანქანა დანადგარები, სათესლე მასალა (ელიტური და ა კლასი), მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები, შესაფუთი მასალა და სხვა.

მწარმოებლები - მცირე ფერმერები, რომლებიც ამუშავებენ საშუალოდ 0.5-1 ჰექტარს და თავად არიან პასუხისმგებლები მოყვნაზე, კულტივაციაზე, თესვაზე, სასუქების და პესტიციდების გამოყენებაზე და ა. შ., და მოსავლის აღება-შენახვაზე. ბევრი მათგანი დაკავებულია სათესლე მასალის წარმოებით.

შუამავლები - პირები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებიან ფერმერებს, უშუალოდ მიაქვთ მოსავალი დიდი ქალაქების საბაზრო ფასზე 10-15 თეთრით ნაკლებ ფასად. როგორც წესი, შუამავლები იძენენ 3-10 ტონა კარტოფილს. ძირითადად, მოცულობა დამოკიდებულია მათი სატრანსპორტო საშუალებების ტევადობაზე.

გასაღების ბაზარი - ძირითადი გასაღების ბაზრები საქართველოს დიდ ქალაქებშია - თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი. იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული მიზეზის გამო პროდუქციის რეალიზაცია ადგილზე არ ხდება, ფერმერებს თვითონ მიაქვთ პროდუქცია გასაყიდად. თუმცა ტრანსპორტირების, კვებისა და ცხოვრების ხარჯების გამო კარტოფილის უშუალოდ მიწოდება გასაღების ბაზარზე ფერმერებისთვის არარენტაბელურია.

კარტოფილის წარმოების პროცესების ანალიზი:

	ღირებულება		შენიშვნები
	-დან	*-მდე*	
ორგანული სასუქები			• ნაკელი 20-30 ტონა ჰექტარზე • შეაქვთ 2-3 წელიწადში ერთხელ
სათესლე მასალა		2,70 ლარი კგ (ჰოლანდიიდან, გერმანიიდან)	• ძირითადად წინა წლის მოსავალის ნაწილი • მოსავლიანობის ასამაღლებლად თესლის ცვლა საჭიროა 3-4 წელიწადში ერთხელ • ხშირად სათესლე კარტოფილს ყიდულობენ იმ ფერმერებისგან, ვისაც წინა წელს მაღალი მოსავალი ჰქონდა • მაღალი ფასის გამო იმპორტირებულ თესლის სახეობებზე მოთხოვნა შედარებით დაბალია
მინერალური სასუქები	320 ლარი	800 ლარი	• ნიადაგის გამოიფიტვის თავიდან ასაცილებლად საჭიროა 400 კგ აზოტის სასუქი • მოსავლიანობის ასამაღლებლად საჭიროა ერთ ტონამდე მინერალური სასუქი • აზოტის სასუქის დიდი რაოდენობის გამოყენების შედეგად, კარტოფილი უარესად ინახება, რის გამოც ფერმერებს უწევთ კარტოფილის გაყიდვა ჯერ კიდევ შემოდგომის პერიოდში
პესტიციდები		500 ლარი	• ყველაზე ხშირად გამოიყენება ინსექტიციდები და ჰერბიციდები • თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით იყენებენ განსაზღვრულ პრეპარატებს • ფუნგიციდები შედარებით ძვირია და ხშირად არ გამოიყენება პროფილაქტიკის მიზნით
მოხვნა	120 ლარი	160 ლარი	• საჭირო სიღრმე 40 სმ
კულტივაცია	60 ლარი	80 ლარი	

მიწის შემოყრა			
თესვა	60 ლარი (ხელით შრომა)	150 ლარი (მექანიზაცია)	
მორწყვა		300 ლარი	• ზაფხულის განმავლობაში კარტოფილს 2-4 ჯერ რწყავენ • სეზონის განმავლობაში ორჯერ მორწყვა კარტოფილის მოსავლიანობას ერთ ჰექტარზე, დაახლოებით, 10 ტონით ზრდის • საირიგაციო სისტემის ამორტიზირების გამო, ფერმერებს სარწყავი წყლის დეფიციტი აქვთ • ნაკვეთების დიდი წილი დამოკიდებულია ატმოსფერულ ნალექებზე
მოსავლის აღება	100 ლარი (ხელით შრომა)	150 ლარი (მექანიზაცია)	• უპირატესად ტექნიკის საშუალებით ხდება • მოსავლის მექანიზირებული აღების შემდეგ მოსავლის ხელით აღება ხდება
მოსავლის შენახვა			• ფერმერების დიდი ნაწილი მოსავალს ინახავს სათავსოებში • ასეთ სათავსოებში ტემპერატურული და ჰიგიენური შენახვის პირობები არასათანადოთაა დაცული, რაც სხვადასხვა დაავადებების მიზეზი ხდება და ხშირად განაპირობებს 10%-მდე მოსავლის გაფუჭებას

მოსავლის აღების შემდგომი დამუშავება და შენახვა

მოსავლის აღებით კარტოფილზე ზრუნვა არ მთავრდება, მომხმარებლისადმი უწყვეტად მიწოდების უზრუნველსაყოფად იგი უნდა ინახებოდეს არსებული წესების დაცვის გათვალისწინებით. აღებული კარტოფილის დაბალი ხარისხი, კანის დაზიანებები ან ტუბერების დაავადებები (როგორიცაა შავი ობი და სიდამპლე) იწვევენ დანაკარგებს შენახვის დროს. ტუბერები თუ არ შეესაბამება მომხმარებლის მოთხოვნებს და არ გააჩნია სამრეწველო სახე, შესაბამისად მწარმოებლის მოგება მცირდება. რეგიონის მაღალმთიანეთში კარტოფილის წარმოებისას ფერმერები სათანადო დონეზე ვერ ახორციელებენ საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებებს, არ ხდება საწყობების დეზინფექცია და შენახვის ოპტიმალური პირობების დაცვა, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება პროდუქციის სასაქნლო სახეზე და შესაბამისად ფასზეც.

ზოგადად, აჭარაში ერთ ჰექტარზე კარტოფილის მოსავლიანობა მერყეობს 12-დან 15 ტონამდე. იმპორტირებული სათესლე კარტოფილის გამოყენების შემთხვევაში, 1 ჰექტრის მოსავლიანობამ შეიძლება 30 ტონასაც გადააჭარბოს. თუმცა, მოსავალი შეიძლება შემცირდეს სხვადასხვა დაავადებების, მღრღნელების და არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამოც.

კარტოფილის აღება ხდება კარტოფილის მთხრელიგუთნითაც, რომელსაც მიწის შემომყრელის მსგავსად, ორივემხრიდან ფრთები აქვს. გუთნით ამოყრილ ტუბერებს ხელით კრეფენ. მიწიდან ამოღებული და გასუფთავებული ტუბერები მინდვრიდან გააქვთ და ახარისხებენ. დაზიანებულ და წვრილ ტუბერებს პირუტყვის საკვებად იყენებენ.

მოწეულ მოსავალს ფერმერთა ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე შემოდგომაზე გადამყიდველთან/შუამავალთან ყიდის, ზოგიერთი კი სპეციალურად მიწაში მოწყობილ სათავსოში/სარდაფში ინახავს, რადგანაც შემოდგომაზე, როცა ხულოში კარტოფილი შემოდის, საბაზრო ღირებულება დაბალია, გაზაფხულზე ფასი მატულობს და გაძვირებას ელოდებიან. კარტოფილის სარდაფები/მიწურები ძირითადად არ შეესაბამება მაღალი ხარისხის კარტოფილის შესანახად აუცილებელ სტანდარტებს; არ არის მოწყობილი სპეციალური სავენტილაციო სისტემა; არ ხორციელდება სარდაფების სისტემატიური დეზინფექცია.

აღსანიშნავია რომ სოფელ დიოკნისში, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,კარიტას–ჩეხეთის“ ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა 200 კვ.მ ფართობის თანამედროვე ტიპის კარტოფლის შესანახი საწყობი, რომელიც აღჭურვილია სავენტილაციო სისტემითა და კლიმატკონტროლით. მიუხედავად მისა, რომ აღნიშნული საწყობი უზრუნველყოფს ტუბერის მაღალი სტანდარტით შენახვას, ის მაინც მცირე ზომისაა და, ფერმერების თქმით, ასეთი საწყობები მაღალმთიანი აჭარის თითქმის ყველა თემში უნდა არსებობდეს.

პრობლემა რეგიონის მეკარტოფილე ფერმერებს კარტოფილის გაყიდვის დროსაც ექმნებათ. მათი თქმით, ბათუმის აგრარულ ბაზარში გლეხი კარტოფილის გაყიდვას ვერა ხერხებს, რადგან ბაზარში ყველა დახლი დაკავებულია, მიმდებარე ტერიტორიაზე კი კარტოფილით სავსე ტომრის განთავსების უფლებას შესაბამისი სამსახურები არ იძლევიან. საბოლოოდ გლეხი/მცირე ფერმერი იძულებულია კარტოფილი გადამყიდველს/შუამავალს საბითუმო ფასად მიჰყიდოს. ფერმერისთვის ჯერ კარტოფილის მოყვანაა პრობლემა, მერეკი მისი გაყიდვა–რეალიზაცია. როდესაც რეგიონის მაღალმთიანეთში კარტოფილიშემოდის, სამომხმარებლო ბაზარზე ხდება მისი გაიაფება, რის გამოც მის მოვლა–მოყვანაზე დახარჯულ თანხების ამოღება რთულია. ფერმერების თქმით, გასულ წლებში გასაყიდად განკუთვნილი კარტოფილი მოსახლეობას იალაღზეც მოჰყავდა, ახლა მხოლოდ თითო-ოროლა თუ ამუშავებს ამ გზით. ზოგჯერ ფერმერები იმ იმედით აწარმოებენ კარტოფილს, რომ მას კარგი ფასი ექნება, დაიმედებულებს არაერთხელ შეუნახიათ კარტოფილი, რომელიც შემდეგ გაფუჭებული გადაუყრიათ. მეკარტოფილე ფერმერები გამოსავალს კარტოფილის მიმღები პუნქტების ამოქმედებაში ხედავენ.

ადგილობრივი ბაზრის ანალიზი

2013 წელს წინა წელთან შედარებით საქართველოში კარტოფილის იმპორტი თითქმის 3-ჯერ შემცირდა. „საქსტატის" ინფორმაციით, 2013 წელს საქართველოში 10 ათას 165.1 ტონა კარტოფილის იმპორტი განხორციელდა, რაც 66 %-ით ნაკლებია 2012

წელს საქართველოში შემოტანილი კარტოფილის მოცულობასთან. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2012 წელს საქართველოში უცხოური ბაზრებიდან 30 ათას 163.2 ტონა კარტოფილი შემოვიდა. კარტოფილი საქართველოში უმეტესად ზამთრის თვეებში შემოდის. იმპორტის ყველაზე დიდი წილი სომხურ კარტოფილზე მოდის. შედარებით ნაკლები მოცულობით თურქული და ირანული კარტოფილიც შემოაქვთ, თუმცა საგემოვნო თვისებებით უცხოური ადგილობრივს ვერ შეედრება. 2013 წელს სულ განხორციელდა 1,8 მლნ აშშ დოლარის იმპორტი შემდეგი ქვეყნებიდან: სომხეთი (52, 5%), თურქეთი (39%) და ნიდერლანდები (7,2%).2013 წელს საქართველოსთვის კარტოფილის ლიდერი იმპორტიორი სომხეთი გახდა, მაშინ როდესაც 2012 წელს ლიდერობდა თურქეთი. 2013 წელს სომხეთიდან საქართველოში 6,079.3 ტონა კარტოფილი შემოვიდა. 2012 წელს კი ყველაზე მსხვილი საიმპორტო ბაზრიდან, ანუ თურქეთიდან 23,240.8 ტონა კარტოფილის იმპორტია განხორციელებული.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს საქართველოში 1 მლნ 866 ათას 500 დოლარის ღირებულების კარტოფილის იმპორტი განხორციელდა, 2012 წელს კი 6 მლნ 570 ათას 900 დოლარის ღირებულების.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით, ქვეყანაში კარტოფილის ფასმა დაახლოებით 51 თეთრით მოიმატა, რადგანაც 2012 წლის იანვარში 1 კგ კარტოფილის საშუალო ფასი 1.01 ლარს შეადგენდა, 2012 წლის დეკემბერში - 0.75 ლარს, 2013 წლის იანვარში - 0.77 ლარს, ხოლო 2013 წლის დეკემბერში 1.52 ლარს.

რას უკავშირდება კარტოფილის იმპორტის შემცირება უცნობია, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2013 წელს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს აქტიური მუშაობის შედეგად ქვეყნის ტერიტორიაზე დაავადებული კარტოფილის შემოტანა აღიკვეთა.

ბოლო წლების განმავლობაში კარტოფილის ადგილობრივი წარმოება 200 ათას ტონას აჭარბებს. 2012 წელს კარტოფილის ადგილობრივმა წარმოებამ 252 ათასი ტონა შეადგინა. 2012 წლის დასაწყისში არსებული მარაგის (73 ათასი ტონა), ადგილობრივი წარმოების (252 ათასი ტონა) და იმპორტის (დაახლოებით 30 ათასი ტონა) სულ

კარტოფილის რესურსმა ქვეყანაში 2012 წლისთვის 355 ათასი ტონა შეადგინა. 2012 წელს ერთ სულ მოსახლეზე კარტოფილის მოხმარებამ საშუალოდ 52 კგ შეადგინა.

იმპორტის მაჩვენებლების ანალიზის დროს აუცილებელია სათესლე კარტოფილის იმპორტის გათვალისწინება. საქართველოში კარტოფილი ითესება საშუალოდ 20,000 ჰა ფართობზე, რასაც ესაჭიროება საშუალოდ50,000 ტონა კარტოფილის თესლი. სწორედ სათესლე კარტოფილი შემოდის საქართველოში მეზობელი ქვეყნებიდან, განსაკუთრებით სასომხეთიდან. 2013 წელს, სასომხეთიდან მოწოდებული სათესლე კარტოფილის შემოწმების დროს გამოვლინდა სტანდარტთან შეუსაბამობა, რის გამოც სასომხეთმა შეაჩერა პროდუქციის მოწოდება. რაც შეეხება ჰოლადნიას იმპორტირებული პროდუქციის 100% არის სათესლე კარტოფილი.

რაც შეეხება ექსპორტს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით (საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2013წ) კარტოფილის ექსპორტმა შეადგინა 3,5 მლნ აშშ დოლარი. ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: აზერბაიჯანში (91%), სომხეთში (4%), ყაზახეთსა(3%) და ბელორუსში(1%). სულ ჯამში 2013 წელს საქართველოდან 9 ათას 980.5 ტონა კარტოფილის ექსპორტი განხორციელდა, 2012 წელს კი საქართველოდან საზღვარგარეთის ბაზრებზე 350 ტონა კარტოფილი გადაიზიდა.

კვების ფიზიოლოგიური ნორმის გათვალისწინებით ზრდასრული ადამიანის მოთხოვნა კარტოფილზე შეადგენს თვეში 7,23 კგ–ს, რაც წლიურად უდრის 87 კგ–ს. თუ გავითვალისწინებთ აჭარის მოსახლეობის რაოდენობას (400 000 ადამიანი) კარტოფილზე რეგიონის მოსახლეობის წლიური მოთხოვნა შეადგენს 34800 ტონას. რეგიონში წარმოება საქსტატის 2013 წლის მონაცემების მიხედვით 11 ათას ტონას შეადგენს, ხოლო აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემებით 47 000 ტონამდეა. რაც შეეხება რეგიონში წარმოებლი კარტოფილის ექსპორტს, ხულოს მეკარტოფილე ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის ინფორმაციით, დაახლოებით 300 ტონამდე ადგილობრივი წარმოების კარტოფილი გადის ექსპორტზე.

ადგილობრივ ბაზარზე არსებული ასორტიმენტის ანალიზი. კატროფილს, რომელსაც მყიდველი შეფუთულს ან შეფუთვის გარეშე ყიდულობს, უნდა ჰქონდეს

სუფთა, ჯანმრთელი კანი, რაც მას უფრო მიმზიდველს გახდის მყიდველისათვის. გარეგანი დაავადებების მქონე კარტოფილს უფრო ნაკლები შენახვის ვადა გააჩნია ინტენსიური სუნთქვისა და ტენის დანაკარგების გამო. გადასამუშავებელი კარტოფილის სტანდარტები არც თუისე მკაცრია, როგორიც ეს ახალი ბოსტნეულის ბაზრისათვისაა, თუმცა მათ მიერ დაწესებულია დანაკარგების შემცირების გარკვეული მინიმუმი. კანის იერსახეზე სხვა ფაქტორებთან ერთად მოქმედებს ტუბერების დაავადებების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები, ფესვების განუვითარებლობა, ასევე კანის ზედაპირული მექანიკური დაზიანებები და სხვა.

რეალიზაციის თვალსაზრისით კარტოფილის გარეგნული იერსახე ძალზედ მნიშვნელოვანია, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მავნე ორგანიზმებისაგან დაცვასა და გარეგნული იერსახის შენარჩუნებას, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი მავნებლებით და დაავადებებით მიყენებული დაზიანებები, ფიზიკური ნაკლოვანებები, ნაჭყლეტები და საერთოდ მოუმწიფებელი ნაწილები და სხვა. ამ შემთხვევაში ტუბერების ხარისხი პრიორიტეტულია მყიდველისათვის. ბევრი რამ არის დამოკიდებული ჯიშზე, მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიის პირობებზე (პესტიციდები, მორწყვა და სხვა), სასუქების შერჩევაზე და მათი გამოყენების ვადებზე. ტუბერები ერთნაირი ფორმის და ზომის უნდა იყოს (45-85 სმ), ჯანსაღი, სუფთა კანით, დაავადებების ნიშნებისა და მექანიკური დაზიანების გარეშე, რადგან ბაზარი ითხოვს ფორმით და ზომით ერთნაირ კარტოფილს, საღი კანით, მექანიკური დაზიანებებისა და დაავადებების ნიშნების გარეშე. ბაზარი მოითხოვს კარტოფილს ჩვეულებრივი ქეცის გავრცელების დაბალ დონეს - კანის ზედაპირის არაუმეტეს 25%-ისა. ასევე მნიშვნელოვანია მშრალი ნივთიერების შემცველობა, რადგან ტუბერები, რომლებიც 18-20%-ზე ნაკლებ მშრალ ნივთიერებას შეიცავენ, უფრო მგრძნობიარენი არიან დაავადებების მიმართ, ასეთი ტუბერები ადვილად იშლება ხარშვის დროს. მწარმოებლის მიზანია - კარტოფილის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბაზრის გარკვეული სეგმენტის მოთხოვნებს. ასეთი პროდუქტის წარმოება კონტროლირდება მრავალი ფაქტორით, თუმცა ზოგიერთი მათგანი, როგორიცაა ტემპერატურა და მზის სინათლე, ვერ გაკონტროლდება, რიგ ფაქტორებზე კი შესაძლებელია მოვახდინოთ

ზეგავლენა ისე, რომ მიღებული კარტოფილი შეესაბამებოდეს ბაზრის გარკვეულ მოთხოვნებს.

სადისტრიბუციო ბაზრის ანალიზი

იმ მიზეზის გამო, რომ ადგილობრივ ბაზარზე კარტოფილის მწარმოებლებს ძირითადად მცირე ფერმერები/ გლეხები წარმოადგენენ, კარტოფილის რეალიზაცია როგორც წესი შუამავლების საშუალებით ხორციელდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საშუალო ნაკვეთი 0.3-1 ჰა-ს შეადგენს. შესაბამისად ფერმერები იმ რაოდენობის კარტოფილს ვერ აწარმოებენ რომ უღირდეთ პროდუქციის ქალაქში (ძირითადად ბათუმში) ტრანსპორტირება. როგორც წესი, მცირე ფერმერებს შუამავლები უკავშირდებიან. შუამავლები ერთდროულად რამდენიმე მცირე ფერმერს უკავშირდებიან რათა უზრუნველყონ საჭირო რაოდენობის პროდუქტის მობილიზება და ტრანსპორტირება საქართველოს დიდ ქალაქებში (ძირითადად ბათუმში, თბილისში, ქუთაისში). იმ შემთხვევაში თუ მცირე ფერმერი თავად ჩამოიტანს კარტოფილს ბათუმში, მას ბაზარში პრობლემები ექმნება რადგან ბაზრის ტერიტორიაზე ყველა დახლი დაკავებულია ხოლო გარე ვაჭრობის უფლებას პოლიცია არ აძლევს. შესაბამისად მცირე ფერმერი იძულებულია ისევ საბითუმო ფასად ჩააბაროს ჩამოტანილი კარტოფილი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რეგიონში მოქმედი მეკარტოფილეები უპირატესობას ანიჭებენ კარტოფილის გარკვეული მარაგების შენახვას შემდგომი რეალიზაციისთვის.

რაც შეეხება რეგიონში წარმოებული კარტოფილის ექსპორტს, მეკარტოფილეთა ასოციაციის ინფორმაციით და ასევე ფერმერების თქმითაც, საკმაოდ ხშირია ადგილობრივი წარმოების კარტოფილის აზერბაიჯანში ექსპორტი. აზერბაიჯანში აჭარაში წარმოებული კარტოფილის ექსპორტით ძირითადად ხულოს სოფლებიდან წალკაში ჩასახლებული პირები არიან დაკავებული. ისინი ურიგდებიან ბათუმში ჩამოსულ მეკარტოფილე ფერმერებს და ათანხმებენ სასურველ რაოდენობას. სასურველი რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, შუამავლები ახდენენ ადგილობრივი კარტოფილის ტრანსპორტირებას ჯერ წალკაში და შემდეგ აზერბაიჯანში.

ზოგადად რეგიონის სამომხმარებლო აგრარულ ბაზარზე წლის განმავლობაში ხორციელდება, როგორც ადგილობრივი, ასევე მარნეულიდან და ახალციხიდან შემოტანილი კარტოფილის რეალიზაცია. ზაფხულის თვეებში ლიდერობს მარნეულიდან შემოტანილი კარტოფილი, შემოდგომაზე ახალციხის და ხულოს კარტოფილი. ზამთრის სეზონზე ძირითადად ხულოს კარტოფილის რეალიზაცია ხდება. დღეის მდგომარეობით სამომხმარებლო ბაზარზე უხვად გვხდება კარტოფილის ჯიშები ,,პიკასო" და ,,ქალაქური". 1 კგ კარტოფილის საბითუმო ფასი 85 თეთრია, ხოლო საცალო ფასი საშუალოდ 1,30 ლარი.

კონკურენტული ანალიზი

წარმოების გეოგრაფია და საბითუმო ფასების ანალიზი

ბოლო ოთხი წლის მონაცემების მიხედვით კარტოფილის წარმოება საქართველოში შემდეგნაირად გამოიყურება:

	მოსავალი 1000 ტონა	ნათესი ფართობი 1000 ჰა	აღებული ფართობი 1000 ჰა	საშუალო მოსავლიანობა ტონა/ჰა
2010	228.8	21.2	20.7	11.1
2011	273.9	20.3	20.2	13.6
2012	252.0	25.8	25.7	9.9
2013	296.6	26.2	25.9	11.3

კარტოფილის წარმოება საქართველოს მასშტაბით ძირითადად აჭარაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთშია განვითარებული. აჭარა სხვა რეგიონებთან შედარებით წარმოების მოცულობით მესამე ადგილზეა.

კარტოფილის წარმოება რეგიონების მიხედვით - ათასი ტონა

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საქართველო	168.7	229.2	193.4	216.8	228.8	273.9	252.0	296.6
მათ შორის								
აჭარის ა/რ	25.5	32.0	31.6	16.7	11.6	9.0	13.6	11.7
ქვემო ქართლი	69.8	59.9	24.9	35.3	63.3	58.4	51.3	91.3
სამცხე-ჯავახეთი	54.3	109.3	108.1	144.1	128.5	169.7	158.7	164.2
დანარჩენი რეგიონები	19.1	28.0	28.8	20.7	25.4	36.8	28.4	29.4

კარტოფილის ნათესი ფართობები რეგიონების მიხედვით

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საქართველო	23.5	21.5	24.0	18.0	21.2	20.3	25.8	26.2
მათ შორის								
აჭარის ა/რ	1.7	2.0	1.8	1.4	1.4	0.9	1.2	0.8
ქვემო ქართლი	9.4	6.1	6.3	4.5	4.7	3.4	5.0	7.9
სამცხე-ჯავახეთი	8.4	8.3	10.1	7.7	10.2	10.6	14.8	12.4
დანარჩენი რეგიონები	4.0	5.1	5.8	4.4	4.9	5.4	4.8	5.0

ბოლო წლების პრაქტიკა ადასტურებს, რომ ზამთრის თვეებში კარტოფილის ფასი მაღლა იწევს, ამიტომაცმიწათმოქმედები მოსავლის გაყიდვას მაინცდამაინც არ ჩქარობენ. თუმცა ზოგიერთი ფერმერისთვის პროდუქციის დროულად გაყიდვა ფასის მიუხედავად, მაინც აუცილებელი პირობაა.

სურსათის საშუალო საცალო ფასები საქართველოში (ლარი/კგ)x100

	2013 მე-2 კვარტალი	2013 მე-3 კვარტალი	2013 მე-4 კვარტალი	2014 1-ლი კვარტალი	2014 მე-2 კვარტალი
საქართველო	95.5	86.0	110.3	158.4	155.4
თბილისი	94.9	87.4	114.0	161.2	159.6
ქუთაისი	98.2	90.8	104.8	154.0	158.5
ბათუმი	86.6	75.7	94.4	145.9	143.8
გორი	94.3	82.2	106.0	157.6	145.5
თელავი	106.0	83.3	124.1	167.4	156.4

რაც შეეხება კარტოფილის საბითუმო ფასებს, დღეის მდგომარეობით შემოტანილი და ადგილზე წარმოებული კარტოფილის საბითუმო ფასი მერყეობს 0,80 ლარიდან 1 ლარამდე.

კარტოფილის ბალანსი საქართველოში (რესურსები და გამოყენება)

მაჩვენებლები	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**
რესურსები (ათასი ტონა)								
მარაგი წლის დასაწყისში	204	100	76	27	25	10	73	66
ადგილობრივი წარმოება	169	229	193	217	229	274	252	297
იმპორტი	24	52	32	18	2	51	30	10
სულ რესურსები	**397**	**381**	**301**	**262**	**256**	**335**	**355**	**373**
გამოყენება (ათასი ტონა)								
სათესად	70	65	60	38	39	38	48	48
პირუტყვის საკვებად	20	23	2	1	1	2	2	4

სასურსათო მოხმარება	194	206	210	195	197	216	234	247
დანაკარგები	12	11	2	2	1	5	5	5
ექსპორტი	1			1	8	1	0	10
მარაგი წლის ბოლოს	100	76	27	25	10	73	66	59
მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	**397**	**381**	**301**	**262**	**256**	**335**	**355**	**373**
მოხმარება ერთ სულზე								
მოსახლეობა ათასი კაცი	4401	4382	4385	4436	4469	4498	4491	4487
კგ. წელიწადში	44	47	48	44	44	48	52	55
გრ. დღეში	120	130	132	120	121	132	142	151
კკალ დღეში	72	78	79	72	73	79	85	91
პროტეინი გრ. დღეში	1.9	2.1	2.1	1.9	1.9	2.1	2.3	2.4
ცხიმები გრ. დღეში	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.2
თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი %	**88**	**81**	**86**	**93**	**103**	**85**	**89**	**100**

კონკურენტი მწარმოებლების (რეგიონების) კონკურენტული უპირატესობების კვლევა

ხულოს მუნიციპალიტეტში კარტოფილის კულტურას უკავია 1200 ჰა, სადაც იწარმოება 31 200 ტონა კარტოფილი. მეკარტოფილეობით დაკავებულია 7900 ფერმერი.

ადგილობრივი წარმოების კარტოფილის ძირითადი კონკურენტი არის სამცხე ჯავახეთში და ქვემო ქართლში (წალკა და დმანისი) წარმოებული პროდუქცია.

საქართველოში კარტოფილის მოწევა ბოლნისის რაიონიდან იწყება და ზაფხულში ადგილობრივ ბაზარზე სწორედ იქაური პროდუქტი შემოდის გასაყიდად. სექტემბერში კარტოფილის აღებას ახალციხის რაიონში იწყებენ და თვე-თვენახევრის განმავლობაში ადგილობრივ მოთხოვნას სწორედ ახალციხის კარტოფილი აკმაყოფილებს. ყველაზე გვიან კი, ოქტომბრის შუა რიცხვებში,

კარტოფილის მოსავალს ახალქალაქში იღებენ. საქართველოში ყველაზე მეტი მოსავალი სწორედ ჯავახეთის ამ რაიონებში მოჰყავთ. ახალციხისა და ახალქალაქის გარდა, კარტოფილი დიდი რაოდენობით წალკის, დმანისის, თეთრიწყაროს, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებშიც ითესება.

პირველად კარტოფილის მოსავალი სწორედ ჯავახეთში მოდის. სექტემბრის დასაწყისში ადგილობრივ ბაზარზე ახალციხის კარტოფილი შემოდის და მისი მარაგი 1-1,5 თვეა საკმარისი. შემოდგომაზე ახალქალაქის კარტოფილი შემოდის და მაისის ბოლომდე იყიდება საქართველოს ბაზარზე. ქვეყანაში ყველაზე დიდი მოცულობით კარტოფილი სწორედ ახალქალაქში მოჰყავთ.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში იწარმოება კარტოფილის ისეთი ადაპტირებული და სპეციფიკური ჯიშები, როგორიცაა: "მარფონა", "აგრია", "დესირე", "მარაბელი", "კოლეტე" და "პამირი". ეს ჯიშები ძირითადად ფერმერთა ასოციაცია ,,ჯავახეთის" მიერ არის შემოტანილი.1998 წელს, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ (GTZ) შემოიტანა კარტოფილის შემდეგი ჯიშები "დესირე" და "აგრია", 2002 წელს გაეროს ორგანიზაციამ - FAO- „მარფონა", "კოლეტე" და "დესირე". მესამედ კი პროგრამამ ,,IFAD"–მა არსებულ ექსპერიმენტულ წარმოებას შემოუტანა ისეთი ჯიშები, როგორიცაა: "მარფონა", "სანტი", "აგრია", "იმპალა" და "პიკასო". სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კომპანია "ევროპლანთან" ერთად 2005 წელს შემოიტანა ჯიში-"მარაბელი". კარტოფილის საშუალო პროდუქტიულობა დაახლოებით 1 ჰა-ზე 18 ტონასშეადგენს. სულ რაიონში წელიწადში 10200 ტონა კარტოფილი მოჰყავთ.

საწარმო მასალების და სერვისების მომწოდებლები

მექანიზაცია	**ინფორმაცია**
კერძო მექანიზატორები ბევრ სოფელშია მოძველებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და აგრეგატები • ხშირად გადახდის საშუალებას იძლევიან მოსავლის გაყიდვის შემდეგ • მცირე ფერმერები ანიჭებენ უპირატესობას	**იღებს ძირითადად მაღაზიებისგან** • მაღაზიები ეყრდნობიან საკუთარ გამოცდილებას და სასოფლო-სამეურნეო მასალების მწარმოებლების მიერ შექმნილი ბროშურებიდან მიღებულ ინფორმაციას • ხშირად კონსულტაციები ეყრდნობა ვიზუალური დათვალიერების შედეგებს ან ფერმერის მონათხრობს **პროდუქციის უსაფრთხოების ადგილობრივი სამსახური** • საკადრო რესურსების შეზღუდულობის გამო კომუნიკაცია ხშირად ტელეფონის საშუალებით ხდება
ფინანსური სერვისები **ფილიალები *საქართველოს ბანკი, ლიბერთი ბანკი, კორ სტანდარტ ბანკი, კრედო*** • სასოფლო-სამეურნეო სესხებზე პროცენტი: 15% -17 %-მდე მერყეობს • შეღავათიანი კრედიტების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ფარავს 9% • ფერმერების უმეტესობა იყენებს კრედიტებს • მოსახლეობა ყველაზე ხშირად იღებს 20 000 ლარის ოდენობის კრედიტს • კრედიტები სრულად უნდა იყოს უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით **დაზღვევით იშვიათად სარგებლობენ** • ხშირად ასეთ მომსახურებაზე არ არსებობს ინფორმაცია, უმეტესობა თვლის, რომ უფრო რენტაბელურია ამ ფინანსური რესურსების წარმოებაში გამოყენება	**საწარმოო მასალები** **მაღაზიები** • მაღაზიების უმეტესობა განლაგებულია მუნიციპალურ ცენტრებში • სოფლებში წარმომადგენლები სთავაზობენ ფერმერებს პროდუქციის შედარებით შეზღუდულ არჩევანს

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ კარტოფილის წარმოებისთვის აუცილებელი კლიმატურ ნიადაგობრივი პირობები ✓ რეგიონის მაღალმთიანეთის ფერმერთა მეკარტოფილეობის გამოცდილება და დარგით დაინტერესება; ✓ ადგილობრივი წარმოების კარტოფილის კარგი საგემოვნო თვისებები; ✓ სახელმწიფოს დაინტერესება კარტოფილის კულტურის როგორც სურსათის უსაფრთხოების ერთერთი შემადგენელი ნაწილით	✓ სათესლე კარტოფილის დაბალი ხარისხი, ხშირ შემთვევაში მე-5 და მე-6 რეპროდუქცია ✓ კულტურათა მონაცვლეობის დაბალი დონე ✓ დივერსიფიცირების ნაკლები შესაძლებლობა ✓ მცირემიწიანობა; ✓ მექანიზირებული წარმოების დაბალი შესაძლებლობა; ✓ პირველი რეპროდუქციის ხარისხიანი (სერტიფიცირებული) თესლის დეფიციტი ✓ სათესლე მასალის სერტიფიცირების სისტემის არ არსებობა ✓ ფერმერთა გადამზადება; ✓ საჰექტარო მოსავლიანობის შემცირების ტენდენციები - ტექნოლოგიების და ახალი ჯიშების ნაკლებად გამოყენების შედეგი; ✓ ადგილობრივი წარმოების კარტოფილზე სასურსათო უვნებლობის მექანიზმების არარსებობა; ✓ მინერალური სასუქების მაღლი

	ღირებულება
საფრთხეები ✓ ახალი დაავადებების გავრცელების შესაძლებლობა და ალბათობა ✓ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში იმპორტის ზრდის შესაძლებლობა/კონკურენცია განვითარებული ქვეყნების მხრიდან/თურქეთის მხრიდან	შესაძლებლობები ✓ ხულოს მეკარტოფილე ფერმერთა ასოციაცია როგორც წვრილი ფერმერულ მეურნეობების გამსხვილების მაგალიტი (დარგის ლობისტი) ✓ ევროკავშირთნ ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ადგილობრივი ბაზარისთვის განკუთვნილი კარტოფილის სასურსათო უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვა ✓ მაღალმთიანეთში უვირუსო კარტოფილის სარგავი მასალის მოყვანის შესაძლებლობა;

ძლიერი მხარეები

- აჭარის მაღალმთიანეთში იდეალური კლიმატურ ნიადაგობრივი პირობებია შექმნილი კარტოფილის წარმოებისთვის. ფაქტიურად ეს კულტურა არის შეუცვლელი სასოფლო სამეურნეო წარმოების მხრივ ერთწლიან კულტურებს შორის. მეცხოველეობასთან და მეფუტკრეობასთან ერთად აჭარის მაღალმთიანეთის მცხოვრებთ დიდი ალტერნატივა არ გააჩნიათ, რაც თავის მხრივ გარკვეულ ბარიერადაც შეიძლება ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის დივესიფიკაციის მიმართულებით. მაგრამ უშუალოდ კარტოფილთან

მიმართებაში ადგილობრივი ნიადაგი და კლიმატი მართლაც რომ ხელისშემწყობი ფაქტორია.

- მეკარტოფილეობა ტრადიციული მიმართულებაა და სწორედ ამიტომ ადგილობრივ ფერმერებს ამ კულტურის წარმოების კუთხით დიდი გამოცდილება და ცოდნა გააჩნიათ რაც ტექნოლოგიური და ჯიშობრივი მიმართულებების განვითარების შემთვევაში სრულიად საკმარისი იქნება დარგის ფეხზე დასაყენებლად და საშუალო მოსავლიანობის მკვეთრი ზრდის მისაღწევად.
- ადგილობრივი კარტოფილის საგემოვნო თვისებები გაცილებით მაღალია ვიდრე თურქეთიდან და სომხეთიდან იმპორტირებული კარტოფილისა, რომლის დიფერენციაციას მყიდველი აგრარულ ბაზარზე ახდენს. ადგილობვრივ სამომხმარებლო ბაზარზე წელიწადის ნებისმიერ დროს უპირატესობა ენიჭება ადგილობრივი წარმოების კარტოფილს, სწორედ მისი საგემოვნო თვისებებიდან გამომდინარე.
- მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის მთვრობის მიერ მეკარტოფილეობის დარგის განვითრებისათვის საბიუჯეტო პროგრამა მხოლოდ 2009 წელს განხორციელდა, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღრმად აქვს გააზრებული დარგის განვითარების მნიშვნელობა და სამომავლოდ დაგეგმილი აქვს დარგის განვითარებაზე აქცენტირებული პროგრამების განხორციელება.

სუსტი მხარეები:

- მაღალი ხარისხის კარტოფილის სათესლე მასალის შეზღუდული ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე (1კგ ფასი 2,5–2,7 ლარი) ადგილობრივი ფერმერები უპირატესობას ანიჭებენ რეგიონში წარმოებული კარტოფილის იაფფასიან სათესლე მასალას, რომლის ჯიშთგანახლება ნაცვლად 4–5 წლისა, გრძელდება 8–9 წელი, რაც იწვევს კარტოფილის ნიშან–თვისებების დეგრადაციას, მოსავლიანობის შემცირებას.
- აჭარის მაღალმთიანეთის რელიეფური და კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე, მწირია აგრარული დარგის განვითარების შესაძლებლობები და იგი შემოიფარგლება მეცხოველობით და მეკარტოფილეობით. მემცენარეობის

თვალსაზრისით ოპტიმალური კარტოფილისა და ქერის კულტურის განვითრება. ქერის დაბალი თვითღირებულების ფონზე კარტოფილის წარმოებას ალტერნატივა არ გააჩნია.

- აჭარის რეგიონი ზოგადად მცირემიწიანია, მჭიდროდ დასახლებული, შესაბამისად მეკარტოფილე ფერმერთ კარტოფილის ნათესებით დაკავებული ფართობები საშუალოდ 0,3–1 ჰექტარზეა.
- იქედან გამომდინარე რომ რეგიონი ხასიათდება რთული რელიეფური თავისებურებებით, მაღალმთიანეთში შეზღუდულია მძიმე სამექანიზაციო საშუალებების გამოყენება თუმცა ფერმერთა მცირე ნაწილი კარტოფილის კულტურის აგრო ტექნოლოგიურ სამუშაოებს ასრულებს მრავალფუნქციური მოტობლოკებითა და ხოლო უმრავლეს შემთხვევაში ტრადიციული მეთოდებით.
- რეგიონში ინტროდუცირებული კარტოფილის სათესლე მასალის ღირებულება 2,5–2,7 ლარი 1 კგ–ზე. ფერმერებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები მაღალხარისხიანი სათესლე მასალის შესაძენად.
- რეგიონში არ არსებობს ხარისხისანი თესლის მასერთიფიცირებელი ორგანო, რაც წარმოადგენს ერთ–ერთ შემაფერხებელ პირობას რეგიონში კარტოფილის სარგავი მასალის წარმოების მიმართულებით.
- რეგიონში ადგილობრივი ფერმერები ნაკლებად არიან ინფორმირებული კარტოფილის მოვლა–მოყვანის მეთოდოლოგიების შესახებ (ახალი ჯიშები, მცენარეთა დაცვის საშუალებები და სხვა).
- უკანასკნელ წლებში მკვეთრად შეინიშნება კარტოფილის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა და ფართობები, კერძოდ დღეის მდგომარეობით რეგიონში საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 15–17 ტ ჰა-ზე, მაშინ როცა შესაძლებელია მოსავლიანობა გაიზარდოს 30 ტ–მდე.
- ქვეყანაში დღეის მდგომარეობით არ არსებობს ადგილობრივ ბაზარზე სარეალიზაციო კარტოფილის სასურსათო უვნებლობის სტანდარტები და მართვის მექანიზმები. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილია 2015 წლის იანვრიდან შესაბამისი რეგულაციების ამოქმედება.

- არაფალსიფიცირებული და ხარისხიანი სასუქების მაღალი ღირებულების გამო, ფერმერები უპირატესობას ანიჭებენ იაფფასიანი სასუქების გამოყენებას, რაც პირდაპირპორციულად/ნეგატიურად აისახება მოსავლიანობის ხარისხსა და რაოდენობაზე.

საფრთხეები:

- მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში რამოდენიმეჯერ აღიკვეთა კარტოფილის დაავადებული სარგავი მასალის იმპორტი საქართველოში, რეგიონში მაინც არსებობს ახალი დაავადებების გავრცელების საშიშროება.
- ევროკავშირის რეგულაციების ამოქმედების შემდეგ მომავალი წლიდან, ადგილობრივი წარმოების კარტოფილს ეძლევა შესაძლებლობები გაიზარდოს მისი საექსპორტო პოტენციალი. მაგრამ ადგილობრივი წარმოების კარტოფილის მაღალი თვითღირებულებიდან გამომდინარე კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით საფრთხეს წარმოადგენს დაბალხარისხიანი და იაფი თურქული წარმოების კარტოფილი.

შესაძლებლობები:

- რეგიონში 2009 წლიდან ფუნქციონირებს ხულოს მეკარტოფილე ფერმერთა ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ათეულობით ფერმერს. ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომავალი წლის იანვრიდან დაგეგმილია ადგილბრივ ბაზარზე სარეალიზაციო კარტოფილის სასურსათო უვნებლობის მექანიზმების დანერგვა, აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს ადგილობრივ ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის რეალიზაციას.
- აჭარის მაღამთიანეთი ხასიათდება კარტოფილის უვირუსო სათესლე მასალის მოვლა–მოყვანის საუკეთესო პირობებით, რის გამოც სამომავლოდ შესაძლებელია გაზრდილი იქნას სათესლე კარტოფილის წარმოების მასშტაბები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქსტატის საყოველთაო აღრიცხვა (2004) http://www.geostat.ge/
2. საქსტატის მონაცემები http://www.geostat.ge/
3. FAOSTAT - http://faostat.fao.org/
4. EUROSTAT data (http://fd.comext.eurostat.cec.eu.int/xtweb/mainxtnet.do)
5. UN Comtrade Statistics (http://comtrade.un.org/db/default.aspx)
6. USAID (2007) - The Belarusian Market for Fresh Potatoes
7. Dukat (2011) – Ukrainian Potato Market, status, problems and prospects
8. MCG ADA project (2006) - ბოსტნეულის წარმოება საქართველოში
9. USAID AgVANTAGE (2006) – Value Chain Analyses Early Potato
10. DFID CARE (2007) - სათესლე და სასურსათო კარტოფილის წარმოების ტექნოლოგია
11. EUROPLANT – http://www.europlant.biz/en/sorten/
12. AGRICO - http://www.agrico.nl/en/products-and-services/seed-potatoes/